



შპს სიდერი

სკრინინგის ანგარიში

9 ჰექტარი მოცვის ბაღის სამელიორაციო (წვეთოვანი სარწყავი)
სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია

წყალაღება ზედაპირული წყლის ობიექტიდან

ანგარიში მომზადებულია:
შპს სიდერი-ს მიერ

დეკემბერი 2020 წელი

შინაარსი

1. შესავალი	3
2. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა.....	4
3. პროექტის აღწერა	5
4. წყალაღების წერტილის დახასიათება.....	10
5. წყალაღების ობიექტის - მდინარე შარისწყლის ჰიდროლოგიური დახასიათება.....	12
5.1.2. საშუალო წლიური ჩამონადენის თვეების მიხედვით და წყალმოხმარება.....	16
5.1.3. ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტის აუზზე და ჩამონადენზე.....	18
6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	20
დანართები:	24

ცხრილები

ცხრილი 1.1.1. საკონტაქტო ინფორმაცია.....	3
ცხრილი 5.1.1. ჩამონადენის განაწილება თვეების მიხედვით.....	16
ცხრილი 6.1.1. ინფორმაცია მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების შესახებ.....	20

ნახაზები

ნახ. 2.1.1 საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა.....	4
ნახ. 3.1.1 საპროექტო ნაკვეთის საზღვრები.....	5
ნახ. 3.1.2 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანება.....	7
ნახ. 3.1.3 წყალაღების წერტილის მდებარეობა.....	8
ნახ. 3.1.4 მდინარე შარისწყალზე წყალაღების წერტილი.....	9
ნახ. 4.1.1 მდინარე შარისწყალი, წყალაღების წერტილები და შენაკადები.....	11
ნახ. 5.1.1 საქართველოს ჰიდროლოგიური სადგურების განლაგების რუკის ფრაგმენტი	12
ნახ. 5.1.2 მდინარე შარისწყლის წყალშემკრები.....	13
ნახ. 5.1.3 წყალაღების წერტილის მაღლა არსებული მდინარე შარისწყლის წყალშემკრები აუზის საზღვრები.....	14
ნახ. 5.1.4 ჩამონადენის განაწილება თვეების მიხედვით და დაგეგმილი საქმიანობის მაქსიმალური წყალმოხმარება.....	17
ნახ. 5.1.5 მდინარე შარისწყლის გადინების არეალი.....	19

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგენთ ინფორმაციას, რომელიც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში 9 ჰექტარი მოცვის ბაღის სარწყავი წყლის აღებას ზედაპირული წყლის ობიექტიდან, კერძოდ მდინარე შარისწყლიდან.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) მომზადდა წინამდებარე ანგარიში, რომელიც წარმოადგენილია სკრინინგის პროცედურის გასავლელად.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მომზადდა შპს „სიდერი“-ს მიერ, კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1.1.

ცხრილი 1.1.1. საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი კომპანია	შპს „სიდერი“
საიდენტიფიკაციო კოდი	404 389 577
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის 70.
პროექტის განხორციელების მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ლაითური, საკადასტრო კოდი 26.25.11.251
ელ. ფოსტა	laituriagri@gmail.com
დირექტორი	რუსუდან ხარგელია
დაგეგმილი საქმიანობის ტიპი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში 9 ჰექტარი მოცვის ბაღის სარწყავი წყლის აღებას ზედაპირული წყლის ობიექტიდან


2. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა

დაბა ლაითური მდებარეობს მდინარე ჩოლოქსა და ნატანებს შორის, ზღვის დონიდან 80 მ. ოზურგეთის ცენტრიდან 14 კმ. მოშორებით.

დაბა ლაითურში საბჭოთა პერიოდში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის რამდენიმე დარგი: მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, ასევე, ფუნქციონირებდა ტუნგოს გადამამუშავებელი საწარმო.

2007 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ლაითურში დაიწყო საპატარო ციხის მშენებლობა.

დაბაში არის საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი და ამბულატორია. საპროექტო ნაკვეთის ადგილმდებარეობის რუკა მოცემულია ნახ. 2.1.1-ზე.



ნახ. 2.1.1 საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა

3. პროექტის აღწერა

შპს „სიდერი“ დაბა ლაითურში ფლობს მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდი 26.25.11.251 (ყოფილი 26.25.11.228) - ამონაწერი და საკადასტრო რუკა დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ანგარიშს (დანართი ## 1, 2). ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 32.51 ჰექტარს. აღნიშნული ტერიტორიის აერო ფოტო 2018 წლის ოქტომბრის თვის მდგომარეობით მოცემულია ნახაზზე.



ნახ. 3.1.1 საპროექტო ნაკვეთის საზღვრები

შპს „სიდერი“-ს მიერ 2019 წელს აღნიშნული ტერიტორია შემოიღობა და მომზადდა ტერიტორიის განვითარების გენერალი გეგმა. 2019 წლის შემოდგომაზე კომპანიის საკუთრებაში არსებული ნაკვეთს სამხრეთ ნაწილში გაშენდა 8 ჰექტარი მოცვის ბაღი, იხილეთ ნახ. 3.1.2. აღნიშნული ტერიტორიას ადგილმდებარეობის, განაშენიანების, აგროტექნიკური და აგრო სამელიორაციო კრიტერიუმების გათვალისწინებით, მდინარე შარისწყლის მარჯვენა შენაკადზე მდინარე ბოინზე, შერჩეული იქნა წყალაღების წერტილი, საიდანაც ხორციელდება 2019 წელს გაშენებული ნაკვეთის მორწყვა. წყალაღების წერტილი მდებარეობს მდინარე ბოინზე და უზრუნველყოს ნაკვეთის ჩრდილოეთი ნაწილის წვეთოვანი სარწყავი სისტემის უზრუნველყოფას სარწყავი წყლით.

აღნიშნულ წყალამღებზე 2020 წლის 28 აპრილს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-367 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „სიდერის“ (სარწყავი) სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“, აგრეთვე სამინისტროსთან შეთანხმებული იქნა ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ტექნიკური პირობა 2020-2025 წლების პერიოდისთვის (N 5381/01 12.06.2020). ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ნაკვეთის რუკა შესაბამისი ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის აღების წერტილის მითითებით მოცემულია ნახ. 3.1.2.-ზე.


კომპანიის მიერ ტერიტორიის განვითარების გენერალური გეგმის ფარგლებში გადაწყდა 2020 წელს კომპანიის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის სამხრეთი ნაწილის 9 ჰექტარის ათვისება; კერძოდ განხორციელდა ტერიტორიის გასუფთავება და გატარდა მოცვის ბაღისთვის საჭირო შესაბამის აგრო ღონისძიებები. პროექტი ხორციელდება სახელმწიფო პროექტის დანერგე მომავალის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით.

2020 წლის შემოდგომაზე 9 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დამუშავდა, მოეწყო მოცვისთვის საჭირო ბაზოკვლები, მომზადდა ტექნიკური პროექტი ტერიტორიის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით.

სარწყავი სისტემის პროექტი მომზადდა სახელმწიფოს მიერ პროგრამა „დანერგე მომავლის ფარგლებში აკრედიტებული ორგანიზაციის შპს „აგრონოვაცია“ და შპს „სიდერი“-ს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ტერიტორიის თანამედროვე, წვეთოვანი სისტემით მორწყვას.

აღნიშნული ტერიტორიის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, ყველა შესაბამისი აგრო და სამელიორაციო ტექნიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით, მდინარე შარისწყალზე შერჩეული იქნა წყალაღების წერტილი, საიდანაც უნდა განხორცილდეს 2020 წელს გაშენებული 9 ჰექტარის მოცვის ბაღის მორწყვა (იხილეთ ნახ. 3.1.2.).

ნაკვეთის აერო ფოტოები, 2019 წელს გაშენებული და 2020 წელს გასაშენებელი ბაღის ტერიტორიების და შესაბამისი წყალაღების წერტილების მითითებით მოცემულია ნახაზზე 3.1.2.



ნახ. 3.1.2 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანება

როგორც წარმოდგენილ სიტუაციურ გეგმიდან ჩანს, შპს სიდერის ტერიტორიაზე გადის მდინარე შარისწყალი, რომელიც მიედინება პროექტით გათვალისწინებული მოსარწყავი ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში - იხილეთ ნახ. 3.1.3. სარწყავი სისტემის დაგეგმარებისას კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე შერჩეული იქნა წყალაღების წერტილი, სადაც დაგეგმილია შესაბამისი წყალამღები და სატუმბი ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს მდინარის არსებულ კალაპოტში წყალშემწოვი მილის მოთავსებას, რომელიც შემდგომ შეუერთდება დაპროექტებულ სატუმბ კვანძს. აღნიშნულ კვანძზე დამონტაჟდება წყლის ფილტრაციის სისტემა და ტუმბო, რომელიც წყალს მიაწოდებს სარწყავი გამანაწილებელი სისტემის ძირითად მილსადენებს. სატუმბი სადგური განთავსდება მდინარის პირველ ტერასაზე.



ნახ. 3.1.3 წყალაღების წერტილის მდებარეობა

ტერიტორიის მორწყვისთვის შერჩეულია ტექნიკური პარამეტრები, კერძოდ:

- ტუმბოს მაქსიმალური წარმადობა: 35 მ³/სთ;
- ტუმბოს წნევა: 6.0 ატმოსფერო
- ტუმბოს საშუალო წარმადობა სისტემის უზრუნველსაყოფად: 15.5 მ³/საათი
- წლის განმავლობაში აღებული მოცულობა: 9557 მ³/წელიწადში.
- წყლის აღების წერტილის კოორდინატები: X=741362.23; Y=4644737.97 (37N UTM სისტემაში)

ტერიტორიის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის პროექტის შესაბამისად, წყალაღების მილზე მოეწყობა სატუმბი კვანძი და დამონტაჟდება ტუმბო სარწყავი ინფრასტრუქტურით.

სატუმბი კვანძის ელექტრომომარაგება განხორციელდება „შპს სიდერის“ არსებული ელექტროქსელიდან.

წყალამღები მილის დიამეტრი პროექტის მიხედვით შეადგენს 110 მმ-ს. აღნიშნული მილის თავზე დამონტაჟდება სტანდარტული 150 მმ დიამეტრის წყალშემწოვი რომელიც სისტემას დაიცავს მდინარეში არსებული ფოთლებისა და ტოტებისგან.

სატუმბი სადგურიდან ნაკვეთში წყლის მიწოდება განხორციელდება მაგისტრალური 90 მმ და 110 მმ-იანი მაღალი ხარისხის პოლიეთილენის მილებით, ასევე წყლის შემდგომი გადანაწილება განხორციელდება 50 მმ, 63 მმ და 75 მმ ქვემაგისტრალური პოლიეთილენის მილებით. პროექტის ფარგლებში, მაგისტრალური და ქვემაგისტრალური მილები განთავსდება თხრილში სიღრმით 0.5 მ, თხრილის სიგანე 0.4 მ, სულ პროექტის დაგეგმილია 750 მეტრის სიგრძის თხრილის მომზადება. თხრილის მოსამზადებლად გამოყენებული იქნება მცირე ზომის ტექნიკა. თხრილი მოეწყობა კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე, ტრანშეის გათხრის დროს განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება თხრილის შემდგომი შევსების მიზნით. თხრილის ტექნიკური პარამეტრების და განსახორციელებელი მიწის სამუშაოები მოცულობიდან გამომდინარე, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ძირითადი სარწყავი წნევის კომპენსირებადი წვეთოვანი მილი ინტეგრირებული საწვეთურებით 16 მმ/1.6 ლ/სთ განთავსდება მიწის ზედაპირზე, სპეციალურად მომზადებული ბაზოკვლებზე, სადაც მილები გადაიფარება სპეციალური აგრო ქსოვილით. აღნიშნულ კომპონენტში განსახორციელებელ ქმედებებს, ნიადაგზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.



ნახ. 3.1.4 მდინარე შარისწყალზე წყალაღების წერტილი

მდინარე შარისწყალზე წყალალემის წერტილის ფოტო მოცემულია ნახ. 3.1.4-ზე.

სარწყავი დღეების რაოდენობა ლაითურისათვის წლიურად შეადგენს 40-დან 100 დღემდე, სისტემა გათვლილია სარწყავი წყლის მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე, თუმცა რეალური წყალმოხმარება დამოკიდებული იქნება მიმდინარე წლის განმავლობაში არსებულ ამინდზე და მოსული ნალექების რაოდენობაზე, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია საპროექტო სიდიდეზე.


4. წყალალემის წერტილის დახასიათება

მდინარე შარისწყალი მთის მდინარეა, საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. ახასიათებს წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთარში. მდინარეს მთელს სიგრძეზე აქვს შენაკადები მარცხენა მხრიდან, ზოგი მომცრო ზომის წყაროს სახით არის წარმოდგენილი ზოგი შედარებით დიდი ზომის შენაკადია. სწორედ ასეთ შენაკადს წარმოადგენს მდინარე ბოინი, რომლიდანაც ხდება ჩვენს მიერ წყალალემა ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში ადრე გაშენებული მოცვის ბაღის მოსარწყავად.

ამჟამად წარმოდგენილი წყალალემის წერტილი მდებარეობს მდინარე შარისწყალზე, მასში მდინარე ბოინის შესართავიდან აღმა მიმართულებით დაახლოებით 500 მეტრის მანძილზე. წყლის მოცულობა რომლის ალბაც არის დაგეგმილი საირიგაციო მიზნებისათვის მდინარის საერთო ხარჯზე მნიშვნელოვანად მცირეა და ზემოქმედება მდინარეზე იქნება უმნიშვნელო.

ნახ. 4.1.1-ზე წარმოდგენილია და კარგად ჩანს მდინარე შარისწყალი, რომელიც მოედინება და კვეთს მიწის ნაკვეთს სადაც უკვე გაშენებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მოცვის ბაღის გაშენების მიზნით. ნახაზზე კარგად ჩანს შენაკადები, რომელიც 1:25,000-ის მასშტაბის რუკაზეა დატანილი.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2020 წელს ნაკვეთის ჩრდილოეთი უბნის მოსარწყავად მოწყობილი წყალალემი მდებარეობს მდინარე ბოინზე, ხოლო შემოთავაზებული წყალალემი მდინარე შარისწყალზე და ჰიდროლოგიურად მათ შორის უშუალო კავშირი არ არსებობს.




ნახ. 4.1.1 მდინარე შარისწყალი, წყალალბის წერტილები და შენაკადები

5. წყალალემის ობიექტის - მდინარე შარისწყლის ჰიდროლოგიური დახასიათება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოთავაზებული წყალალემის წერტილი განლაგებულია მდინარე შარისწყალზე, რომელიც გადის შპს სიდერის კუთვნილ ტერიტორიაზე და მასზე დაგეგმილია წყალამლების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მდინარე შარისწყალი სათავეს იღებს დაბა ლაითურის ტერიტორიაზე, წყალალემის წერტილიდან აღმა მიმართულებით დაახლოებით 2.5 კმ მანძილზე. მდინარის წყალშემკრები მთლიანად განლაგებულია გურიის გორაკ-ბორცვიან ზონაში, ზღვის დონიდან დაახლოებით 50-100 მეტრის დიაპაზონში. მდინარე შარისწყალი ჩაედინება მდინარე ჩოლოქში, შესაბამისად შედის მდინარე ჩოლოქის წყალშემკრებ აუზში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მდინარე ნატანების ქვეაუზს.


მდინარე შარისწყალზე ჰიდროლოგიური მონიტორინგული სადგური არ არის განლაგებული (იხ. ნახ. 5.1.1, საქართველოში ჰიდროლოგიური საგუმაგოების განლაგების რუკა, წყარო - გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის ვებ ბიბლიოთეკა), შესაბამისად ამ უზნისათვის მრავალწლიანი ჰიდროლოგიური დაკვირვების მონაცემები არ არსებობს.




ნახ. 5.1.1 საქართველოს ჰიდროლოგიური სადგურების განლაგების რუკის ფრაგმენტი

ჰიდროლოგიური პარამეტრების განსაზღვრის მიზნით შესაძლოა გამოყენებული იყოს ანალოგიური მეთოდი. მდინარე შარისწყლისათვის წყალამლების აღმა მიმართულებით უნდა განისაზღვროს წყალშემკრები აუზის ფართობი და მიმდებარე აუზების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უნდა განისაზღვროს ძირითადი ჰიდროლოგიური პარამეტრები.

აღსანიშნავია, რომ მდინარე შარისწყალი მიეკუთვნება მდინარე ჩოლოქის აუზს, თუმცა მისი წყალშემკრები განლაგებულია მდინარე ნატანების ქვემო წელის წყალშემკრების ანალოგიურ ლანდშაფტში, შესაბამისად გამოთვლებისათვის შესაძლებელია ორივე აუზისათვის დამახასიათებელი პარამეტრების გამოყენება, და მიღებული მონაცემების ანალოგიური განზოგადება.



ნახ. 5.1.2 მდინარე შარისწყლის წყალშემკრები



ნახ. 5.1.3 წყალაღების წერტილის მაღლა არსებული მდინარე შარისწყლის წყალშემკრები აუზის საზღვრები

მდინარის ჩამონადენის განსაზღვრისათვის არსებობს რამდენიმე მეთოდი, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ლოგიკურია გამოყენებულ იქნას აუზის საშუალო სიმაღლისა და ჩამონადენის მოდულს შორის დამოკიდებულების თავისებურებები. მდინარე შარისწყლის წყალშემკრები აუზის განლაგება ტოპოგრაფიულ გეგმაზე მოცემულია ნახ. 5.1.2, ხოლო სატელიტურ ფოტოზე ნახ. 5.1.3. წყალშემკრები აუზის ფარგლები განსაზღვრულია წყალგამყოფების მიხედვით. წყალამღები წერტილის აღმა წყალშემკრების ფართობი შეადგენს 1.61 კვადრატულ კილომეტრს ანუ 161 ჰექტარს.

ინფორმაცია წყალშემკრები აუზისათვის დამახასიათებელი ჩამონადენის მოდულის შესახებ შეფასებულია ვლადიმროვის მიერ და წარმოდგენილია ნაშრომში „საქართველოს წყლის ბალანსი“ (1974 წელი). მდინარე ნატანებისთვის საერთო წყალშემკრების ფართობი შეადგენს 465 კმ², ხოლო საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 23.9 მ³/წმ, წლიური ჩამონადენი მმ-ში შეადგენს 1630.

ამავე ნაშრომში მოცემულია ინფორმაცია წყლის ბალანსის შესახებ საქართველოს მდინარეებისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მდინარე ჩოლოქის აუზი გამოკვლეული არ ყოფილა, თუმცა ლაითურის ტერიტორია ანალოგიურია მდინარე ნატანების ქვედა წელისთვის. მდინარე ნატანების ქვედა წელის აუზის ფართობი 25 კმ²-ია, ნალექების რაოდენობა შეადგენს 59 მილიონ მ³, შესაბამისად მდინარის ჩამონადენი შეადგენს 37 მილიონ მ³ წელიწადში, ხოლო აორთქლებაზე იხარჯება 22 მილიონი კუბური მეტრი. აღნიშნული მონაცემების გაანალიზებით 1 კვადრატულ კილომეტრზე საშუალო წლიური ჩამონადენი ნატანებისთვის შეადგენს 1.48 მილიონ მ³-ს წელიწადში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წყალშემკრების საშუალო სიმაღლე მდინარე ნატანების ქვემო წელში შეადგენს 52 მ ზღვის დონიდან, რაც ანალოგიურია მდინარე შარისწყლის წყალშემკრები აუზისათვის, შესაბამისად შესაძლებელია, რომ მდინარე ნატანების მონაცემები განვაზოგადოთ მდინარე შარისწყლის წყალშემკრებზე.

ანალოგიის მეთოდით მდინარე შარისწყლის ჩამონადენის შესაფასებლად წყლის ადების წერტილში, შეფასდა წყალშემკრები ტერიტორიის ფართობი, რომელიც შეადგენს 1.61 კმ²-ს, შესაბამისად ამ ტერიტორიიდან ზედაპირულ და გრუნტის წყლებში ხვდება დაახლოებით 2.3828 მილიონი კუბური მეტრი წყალი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ წყალშემკრებში ძირითადად წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტებით, მაშინ გრუნტის წყლებში გაჟონვის მაჩვენებელი ოპტიმისტური შეფასებით არ აღემატება 20%-ს.

ზემოთაღნიშნულით, შეიძლება გამოვითვალოთ, რომ მდინარე შარისწყლის ჩამონადენი წყლის ადების წერტილში შეადგენს 1.90 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში, ხოლო საშუალო წლიური დებიტი შეადგენს 5,222.58 მ³/დღ, რაც თავის მხრივ უდრის 60 ლ/წმ-ში.

გამოთვლებისა და ანალოგიის მეთოდის სიზუსტის გადასამოწმებლად გამოვიყენეთ ინფორმაცია, რომელიც არსებობს ტერიტორიებისათვის რომლებიც განლაგებულია მდინარეებს ნატანებსა და კინტრიშს შორის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიების წყალშემკრების საშუალო სიმაღლე ემთხვევა მდინარე შარისწყლის საკვლევი უბნის წყალშემკრების საშუალო სიმაღლეს. არსებული ინფორმაციით წყალშემკრების ფართობი ამ შემთხვევაში შეადგენს 160 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო წლიური ნალექების რაოდენობა საშუალოდ წყალშემკრებში შეადგენს 364 მილიონ მ³ -ს წელიწადში. ჩამონადენი კი შეადგენს 247 მილიონ კუბურ მეტრს. თუ გავითვალისწინებთ წყალშემკრების საერთო ფართობს, მაშინ 1 კვადრატულ კილომეტრზე ჩამონადენი უნდა შეადგენდეს 1.54 მილიონ მ³-ს.

წყალალემა წერტილამდე მდინარე შარისწყლის საშუალო წლიური ჩამონადენი ამ შემთხვევაში შეადგენს 1.98 მილიონ მ³/წელი, რაც თავის მხრივ საშუალო დღიური მაჩვენებლებში 5,447 მ³/დღ-ია, ეს კი აღემატება მდინარე ნატანების ანალოგიით მიღებულ სიდიდეს. გამოთვლების სანდოობისათვის შერჩეულ იქნა უმცირესი სიდიდე, რომელიც შეადგენს 5,222.58 მ³/დღ, რაც თავის მხრივ უდრის 60 ლ/წმ-ში.

აღნიშნული ინფორმაციის გაანალიზებით, და ფირმა სიდერის მიერ დაგეგმილი წყალალემის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ საშუალოწლიურ ჭრილში დაგეგმილი წყალმოპოვება შეადგენს 9557 მ³/წელიწადში. რაც მდინარე შარისწყლის წლიური შეფასებული ჩამონადენის 0.5014 %-ს შეადგენს.

5.1.2. საშუალო წლიური ჩამონადენის თვეების მიხედვით და წყალმოხმარება

რაც შეეხება დებიტის საშუალო წლიურ განაწილებას, ინფორმაცია განაწილების თავისებურებებზე საკმაოდ მწირია და ისევ შეიძლება მხოლოდ ანალოგიის მეთოდის გამოყენება.


მდინარე ნატანებისთვის საშუალო წლიური განაწილების შესახებ ინფორმაცია დადგენილია უხვი, საშუალო და მცირეწელიანი წლებისთვის. მდინარისთვის დამახასიათებელია მნიშვნელოვანი ფლუქტუაცია. ფლუქტუაციის კოეფიციენტები საშუალო წელიანი წლებისათვის წარმოდგენილია ცხრილი 5.1.1-ში და .

წლიური განაწილების მრუდის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ დაბალი წყლის პერიოდები (წყალმცირობა) მოსალოდნელია იანვრისა და აგვისტოს თვეებში, თუმცა მინიმალური ჩამონადენის შემთხვევაშიც კი, დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული წყალალემა არ არის მნიშვნელოვანი.

ცხრილი 5.1.1. ჩამონადენის განაწილება თვეების მიხედვით

თვეები	განაწილების კოეფიციენტი	თვის ჩამონადენი ლ/წმ
I	0.77	46.32
II	0.75	44.72
III	1.03	61.6
IV	1.17	70.23
V	1.47	88.09
VI	0.92	55.07
VII	0.68	40.78

თვეები	განაწილების კოეფიციენტი	თვის ჩამონადენი ლ/წმ
VIII	0.38	22.92
IX	1.41	84.52
X	0.89	53.35
XI	1.35	80.94
XII	1.23	73.92
საშუალო წლიური ჩამონადენი		60



ნახ. 5.1.4 ჩამონადენის განაწილება თვეების მიხედვით და დაგეგმილი საქმიანობის მაქსიმალური წყალმოხმარება

როგორც დიაგრამიდან ჩანს, მაქსიმალური დებიტი წყალაღების წერტილში არის მაისში და შეადგენს 88 ლ/წ ხოლო კომპანია სიდერის მიერ მაქსიმალური მყისიერი წყალაღება აღწევს 4,3 ლ/წ. წყალმცირობის დროს (აგვისტოს თვე) წყლის დებიტი წყალაღების წერტილში შეადგენს 22,92 ლ/წ, აგვისტოს თვეში მოსავალი უკვე აღებულია და მორწყვის ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზით დასტურდება, რომ კალაპოტში არსებული წყლის რაოდენობაზე წყალმოხმარება უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

5.1.3. ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტის აუზზე და ჩამონადენზე


მდინარე შარისწყლის და მდინარე ჩოლოქის ჯამურ ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მიზნით, გაანალიზებული იქნა მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბი წყალშემკრების კუთხით და ზემოქმედება მდინარის დინებაზე წყალამღებიდან ქვედა ბიეფში.

მდინარე შარისწყალი წარმოადგენს მდინარე ჩოლოქის შენაკადს, რომელიც თავის მხრივ შედის მდინარე ნატანების აუზში. მდინარე ჩოლოქის შესახებ ინფორმაცია ძალიან შეზღუდულია, თუმცა ნატანებისთვის დადგენილია ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლები.

მდინარე ნატანების აუზის ფართი შეადგენს 463 კვადრატულ კილომეტრს, და საშუალო წლიური ჩამონადენი 773 მილიონ მ³, დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედების არეალი შეადგენს 1,61 კვადრატულ კილომეტრს რაც მდინარის აუზის მხოლოდ 0,34%-ია, ამავე დროს ზემოქმედების ხარისხი არ არის მაღალი, შესაბამისად ჯამური ზემოქმედებაც ძალიან მცირეა და პრაქტიკულად არ იქნება შესამჩნევი.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი ზემოქმედება ხდება მდინარის ზედა ბიეფში (იხილეთ ნახ. 5.1.5). აქვე წყალაღების მოცულობა შეფასებულ ჩამონადენთან შედარებით მცირეა და არ იქნება მნიშვნელოვანი. აქვე უნდა ითქვას, რომ უშუალოდ წყალამღების დაბლა, პირველი შენაკადი მდებარეობს 500 მეტრში, და შემდგომ მოკლე მონაკვეთზე მდინარე შარისწყალში ჩაედინება სხვადასხვა შენაკადი.

მდინარე შარისწყალი, წყალაღების წერტილიდანა მიედინება დაუსახლებლ ტერიტორიაზე და გადის დაბა ლაითურის სასოფლო სამეურნეო სავარგულებს. ისტორიულად მდინარის გამოყენება ძირითადად ხდებოდა სასოფლოს სამეურნეო დანიშნულებით. წარმოდგენილი პროექტის განხორციელებით სხვა დამატებითი ზემოქმედება კუმულაციური ზემოქმედების ჭრილში არ არის მოსალოდნელი იხილეთ ნახ. 5.1.5.



ნახ. 5.1.5 მდინარე შარისწყლის გადინების არეალი

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ცხრილი 6.1.1-ში წარმოდგენილია ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ცხრილში მოცემული კრიტერიუმები წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პუნქტებს.

ცხრილი 6.1.1. ინფორმაცია მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების შესახებ

კრიტერიუმი	აღწერა
საქმიანობის მახასიათებლები:	
ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;	წყალალეზა განკუთვნილია 9 ჰექტარი მოცვის ბაღის მოსარწყავად სადაც განთავსებული დაახლოებით 29700 ძირი კენკროვანი კულტურა. სარწყავი სისტემა დაგეგმილია არსებული აგროტექნიკური პარამეტრების მიხედვით. წყალამღების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 35 მ ³ /საათში. წყალალეზის საშუალო წლიური მოცულობა - 9557 მ ³ /წელიწადში, ხოლო საშუალო წყალალეზა 15.5 მ ³ /სთ. წყალამღები წარმოადგენს წერტილოვან ობიექტს და ითვალისწინებს წყალშემწოვი მილის განთავსებას მდინარეში. მისი კონსტრუქცია და მოწყობა არ მოითხოვს მდინარის კალაპოტზე ზემოქმედებას, კაშხლის ან რეზერვუარის მოწყობას. წყალალეზა განხორციელდება არსებული კალაპოტის გადრმავებული უბნიდან. წყალალეზის კონსტრუქცია არ იმოქმედებს მდინარის ჩამონადენზე ან ნატანზე. წყალალეზის მასშტაბიდან გამომდინარე ზემოქმედება წყლის ობიექტზე შეუმჩნეველი იქნება.
ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;	დაგეგმილ საქმიანობას კუმულაციური ეფექტი არ არის მოსალოდნელი, მდინარიდან წყალალეზა არ გამოიწვევს ზემოქმედებას ქვედა დინებაში არსებულ ან დაგეგმილ საქმიანობებზე. მდინარე შარისწყლიდან წყალალეზა დაგეგმილია მდინარეს ზედა ბიეფში, რის შემდგომაც მდინარე შარისწყალს უერთდება ათზე მეტი მცირე და საშუალო ზომის შენაკადი, რაც საერთოდ ჯამში ახდენს მდინარის ჯამური ხარჯის კომპენსირებას. მდინარეს ქვედა წელში არ არის განთავსებული დასახლებული

კრიტერიუმი	აღწერა
	<p>ტერიტორიები, ძირითადად განლაგებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების და საძოვრები. ხელმისაწვდომი ინფორმაციით, მდინარის ქედა წელში არ არის დაგეგმილი ისეთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს წყლის მნიშვნელოვანი რესურსის გამოყენება.</p>
<p>ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;</p>	<p>წყალამღების მოწყობით მოსალოდნელი ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე და ბიომრავალფეროვნებაზე მინიმალურია, წყალამღები არ იმოქმედებს მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე, არ გამოიწვევს კალაპოტის დაშრობას ან წყლის რაოდენობის შესამჩნევ შემცირებას. მდინარის ბიომრავალფეროვნებაში არ აღინიშნება დაცული და მოწყვლადი სახეობები. რაც შეეხება ზემოქმედებას მოსარწყავ ტერიტორიაზე, ის ისტორიულად წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო სავარგულს, რომელიც დაფარული იყო კულტურული მცენარეებით (ჩაი და ერთწლიანი მცენარეები) და მისი ცვლილება არ ხდება, შესაბამისად ზემოქმედება ნიადაგზე, ხმელეთის ბიომრავალფეროვნებაზე არ არის მოსალოდნელი. აგრეთვე სხვა ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე არ არის მოსალოდნელი.</p>
<p>ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;</p>	<p>შემოთავაზებული საქმიანობა არ გამოიწვევს ნარჩენების წარმოქმნას, საქმიანობა დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან და ნარჩენების წარმოქმნა პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი.</p>
<p>ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;</p>	<p>გარემოს დაბინძურების პოტენციური პროექტს არ გააჩნია, არ იქნება გამოყენებული დამაბინძურებელი მასალები. სარწყავი სისტემა ითვალისწინებს მხოლოდ სასუქების გამოყენებას 9 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულზე, რაც ჩვეულებრივი პროცედურაა სოფლის მეურნეობის სფეროში. წყალამღებთან არ არის დაგეგმილი რაიმე დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყენება როგორცაა ზეთები, ჰერბიციდები ან პესტიციდები. ხმაურის კუთხით დაბინძურება არ არის მოსალოდნელი. წყალამღებთან მინიმუმ 150 მეტრის მანძილზე არ არის ხმაურის რეცეპტორები და განლაგებულია მხოლოდ სასოფლო სამეურნეო მიწები.</p>

კრიტერიუმი	აღწერა
ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;	საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული ისეთი ნაგებობების ან სტრუქტურების აგება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სახის ავარია ან კატასტროფა. დაზიანების შემთხვევაში შეიძლება ზემოქმედება მოხდეს მხოლოდ წყალამღებ სტრუქტურაზე. შესაბამისად მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი ნულოვანია.
ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:	
ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;	დაგეგმილი საქმიანობა მდებარეობს სასოფლო სამეურნეო სავარგულების ზონაში. უახლოესი ჭარბტენიანი ტერიტორია განლაგებულია მინიმუმ 5 კმ და მეტ მანძილზე, შესაბამისად ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებზე არ არის მოსალოდნელი.
ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;	შავი ზღვის სანაპირო ზოლამდე უახლოესი მანძილი აჭარბებს 10 კმ-ს შესაბამისად ზემოქმედება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე არ არის მოსალოდნელი.
ბ.გ) ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;	წყალაღების ტერიტორიაზე არ არის ტყით დაფარული ტერიტორიები, ის მდებარეობს სასოფლო სამეურნეო სავარგულებში. წყალამღების მოწყობა არ მოითხოვს ტერიტორიის ნარგავებისაგან გასუფთავებას, ზემოქმედება არ მოხდება ხე-მცენარეების დაცულ ან წითელ ნუსხაში შეტანილ ჯიშებზე. რაც შეეხება მოსარწყავ ტერიტორიას, ის წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულს და მასზე რაიმე სახის ბუნებრივი ჰაბიტატი არ აღინიშნება. პროექტის განხორციელებით არ იქნება საჭირო ნარგავის ან/და ნარგავების მოჭრა.
ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;	პროექტის განხორციელება დაგეგმილია დაბა ლაითურის ტერიტორიაზე. უახლოეს დაცული ტერიტორია - კინტიშის ეროვნული ნაკრძალი დაცვილებულია 10-კმ-ის მანძილით ხოლო მანძილი კოლხეთის ეროვნული პარკის უახლოეს საზღვრამდე შეადგენს 20-კმ-ს. შესაბამისად ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.
ბ.ე) მჭიდროდ	შერჩეული ტერიტორიის მიმდებარედ არ არის

კრიტერიუმი	აღწერა
დასახლებულ ტერიტორიასთან;	მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები, უახლოეს დასახლებას წარმოადგენს დაბა ლაითურის საცხოვრებელი სახლები, რომელთაგან უახლოესი სახლი მდებარეობს 500 მეტრის მანძილით, ხოლო ლაითურის ცენტრალური უბნები დაცილებულია დაახლოებით 1კმ მანძილზე, შესაბამისად ზემოქმედება დასახლებულ უბნებზე არ არის მოსალოდნელი.
ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;	როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ტერიტორია მდებარეობს სასოფლო სამეურნეო სავარგულებში. შემოთავაზებული წერტილიდან 500 მეტრის მანძილზე არ არის არცერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტის განხორციელება არ მოითხოვს მიწის სამუშაოებს, შესაბამისად შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების რისკი არ არსებობს.
გ) საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:	
გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;	პროექტის განხორციელების ადგილის სპეციფიკიდან და ზემოქმედების მასშტაბიდან გამომდინარე მას ვერ ექნება ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. უახლოესი საზღვარი მდებარეობს ობიექტიდან 50 კმ-ის მანძილზე.
გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.	შემოთავაზებული საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტს არ ექნება არანაირი ზემოქმედება მის ირგვლივ მდებარე ან რეგიონის გარემოზე. საქმიანობა წარმოადგენს მცირე ზომის სასოფლო სამეურნეო საქმიანობას რომელიც ითვალისწინებს წვეთოვანი სქემით 9 ჰექტარზე გაშენებული ლურჯი მოცვის ბაღის მორწყვას.

დანართები:

დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მიწის (უძრავი ქონების) საკლასტრო კოდი N 26.25.11.251

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020881069 - 18/11/2020 17:04:27მომზადების თარიღი
23/11/2020 22:52:57

საკუთრების განყოფილება

ზონა ომურგეთი	სექტორი ლაითური	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო (მრავალწლიანი ნარგავები) დამუსგებელი ფართობი: 325156.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 26.25.11.228; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:
26	25	11	251	

მისამართი: მუნიციპალიტეტი ომურგეთი, დაბა ლაითური

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018564730 , თარიღი 26/06/2018 16:14:28
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/06/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:26/06/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "სიდერი", ID ნომერი:404389577

მესაკუთრე:

შპს "სიდერი"

აღწერა:

იპოთეკა

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020499422 თარიღი 03/08/2020 13:25:38
- იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი"204854595;
საგანი:დამუსგებელი ფართობი: 325156.00 კვ.მ. ;
იპოთეკის ხელშეკრულება N 1231232808650, დამოწმების თარიღი03/08/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი
03/08/2020

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყაღადა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის


მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქცივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეგისტრაციო მიზნების საშემოსავლო გადასახადი გადამხდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მისჯებით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეგმიკური სარეგისტრაციის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მსრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 3: ზედაპირული წყლის აღების ადგილმდებარეობის რუკა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლაითურის მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავი წყლის წყალამღები	UTM - WGS84, 37N კოორდინატები X Y 741362 4644738	სიმაღლე H (მ) 41
---	--	------------------------